

შპს აკვამარინი

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „აკვამარინი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ს თარიღისთვის

შენიშვნა	12/31/2023 ლარი	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	-	1,046,465
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		38,716	1,271,934
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4	1,064,087	1,368,337
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	376,093	244,454
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,478,896	3,931,190	6,400,559
სულ აქტივები	1,478,896	3,931,190	6,400,559
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		92,966	92,186
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	33,449	50,015
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	126,415	142,201	810,860
სულ ვალდებულებები	126,415	142,201	810,860
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50	50
გაუნაწილებელი მოგება		1,352,431	3,788,939
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1,352,481	3,788,989	5,589,699
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1,478,896	3,931,190	6,400,559

შპს „აკვამარინი“

დირექტორი: იური ივჩარენკო



შპს „აკვამარინი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2023-31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	7	10,089,285	15,287,011
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		10,089,285	15,287,011
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(12,413,689)	(16,679,100)
ფინანსური შემოსავალი		118,743	57,900
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	9	(230,846)	(466,521)
მოგება დაბეგვრამდე		(2,436,508)	(1,800,710)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(2,436,508)	(1,800,710)

შპს „აკვამარინი“

დირექტორი: იურიი ოვჩარენკო



შპს „აკვამარინი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023-31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	50	5,589,649	5,589,699
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(1,800,710)	(1,800,710)
ნაშთი - 31.12.2022	50	3,788,939	3,788,989
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(2,436,508)	(2,436,508)
ნაშთი - 31.12.2023	50	1,352,431	1,352,481

შპს „აკვამარინი“

დირექტორი: იური ივჩარენკო



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აკვამარინი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 26/07/2018). კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვების მომსახურება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზირი, №72, სართული 1, ნაგებობა №2

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი: იურიი ოვჩარენკო, FN558439

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი

ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო	2.9753	2.8844	3.5040
1 თურქული ლირა / ლარი	0.0910	0.1443	0.2379

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,064,087	1,046,465	43,797
სულ	1,064,087	1,046,465	43,797

4. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	2023	2022	2021
გადახდილი ავანსები	542,710	560,114	600,189
გაცემული სესხები	521,377	808,223	262,958
სულ	1,064,087	1,368,337	863,146

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2023	2022	2021
მისაღები პროცენტები	215,434	88,711	37,013
საგადასახადო აქტივები	160,660	155,743	50,933
სულ	376,093	244,454	87,946

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	33,449	50,015	767,640
სულ	33,449	50,015	767,640

7. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	10,089,285	15,287,011
სულ	10,089,285	15,287,011

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
საწვავის ხარჯი	(1,501,842)	(1,404,560)
გემის შეკეთების და ტექ-აღჭურვის ხარჯი	(4,026,581)	(1,352,515)
მენეჯმენტის ხარჯი	(388,267)	(53,596)
საკონსულტაციო ხარჯი	(36,880)	-
ეკიპაჟის ხარჯი	(1,187,616)	(190,769)
საპორტო მომსახურების ხარჯი	(3,947,843)	(11,985,693)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(22,359)	(24,743)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(10,972)	(3,681)
სადაზღვევო ხარჯი	(115,790)	(172,488)
საბროკერო ხარჯი	(258,466)	-
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(75,524)	(62,075)
აგენტის ხარჯი	(657,631)	(1,380,926)
სხვა ხარჯი	(183,917)	(48,054)
სულ	(12,413,689)	(16,679,100)

9. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2023	2022
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)	(241,170)	(478,798)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10,323	12,277
სულ	(230,846)	(466,521)

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 17 სექტემბერს.

შპს „აკვამარინი“

დირექტორი: იურიი ოვჩარენკო

